

572  
1988



12 -N UYQPCPC 8. 0881

572

## ფიფქები

### მაყვალა მრავლიფერი

თოვლის ნამცეცა ფიფქები  
ეინვის ალერსით ვალმასობთ,  
ციდან იმიტომ ვიფრქვევით,  
შამთარი გაგილამაზოთ.

ხელიხელგადახვეულებს  
მიწისკენ მოგვისნარია,  
ვეშვებით ჩქარი ფერხულით,  
გნატრობდით დიდი ხანია!

თუთრად დაფარავს მიდამოს  
ჩვენი ქათქათა კაბები,  
შორიდან ნამგზავრები ვართ,  
შრიალით ჩავინაბებით.

მოარბენინეთ, ბაღღებო,  
ცივა და თხილამურები,  
იჭრიამულეთ, გაგვართეთ  
თქვენი ფაქიზი სტუმრები,

თორემ თუ ნისლი გაბაცდა,  
შამთარი ბრწყინავთვალება  
აიკრავს გუდა-ნაბადს და  
წლის სავალს გაგვეწარება.

ჩვენ კი შვის სხივებს შევრჩებით  
სათუთი, სიფრიფანები,  
მეც, ალბათ, სადმე შევშრებით  
ან ცვარად ჩავექანები.

ჯერ კი ხელგადახვეულებს  
სიმღერით მოგვისნარია,  
ჩქარი ფერხულით ვეშვებით,  
გნატრობდით დიდხანია!

თოვლის ნამცეცა ფიფქები  
ეინვის ალერსით ვალმასობთ,  
ციდან იმიტომ ვიფრქვევით,  
შამთარი გაგილამაზოთ.

# ჰერი, ჰერი!

გრიგოლ ჯულუსიძე


ჰერი,  
 ჰერი,  
 ჰერი,  
 ჰერი,  
 ჩემს მამულში მივიმღერი.  
 დავდივარ და  
 დავდივინებ  
 წინაშართა ტეპილი ენით,  
 საქართველოს გულში ვცნობვარობ,  
 მიტომ მქვია თბილისელი.

ჰერი,  
 ჰერი,  
 ჰერი,  
 ჰერი,  
 ჩემს მამულში მივიმღერი.  
 ჩემი ჯიშის  
 ქებას აშობებს  
 ბოლნისის ქვას მინაწერი,  
 ის დიდგორი

კვლავ დიდგორობს,  
 კვლავ შეინჯარობს  
 შეინჯარწვერი,  
 დავდივარ და  
 თვალი ტეპება  
 გელათის და  
 ჯვარის ცქერით.

ჰერი,  
 ჰერი,  
 ჰერი,  
 ჰერი,  
 ჩემს მამულში მივიმღერი.

18704





# ჭუჭი

## ეზარ კვიციანი

ჩვენს უბანში ეველა ბავშვმა  
იცის ზეტრეს მისამართი;  
სულ იოლი საზოგნია:  
სასლი ოცი, „კუს აღმართი“.  
უცნაური ქათამი ჰეავს  
მია ზეტრეს — ჭრელი ჯუჯი;  
ეფერება, მუნლზე ისვამს,  
ხორბალს, სიმინდს აწკდის მუჭით.  
ზეტრე არის მისი ძიძა,

მისი ძიძა, მისი დედა...  
სხვამ ოქროც რომ დაუეაროს,  
არ დახედავს ჯუჯი ზედაც.  
საოცარი სურათია,  
ვერსად ნახვით ასეთ რამეს:  
მოწურებულ ჯუჯის ზეტრე  
წეალს რომ ვერცხლის კოვზით ასმევს.  
გინდ მთელი დღე უწრეზუნო  
და ეძახო, არის ფუჭი, —  
გაოცდებით, ზეტრეს ვარდა  
ეურს არავის უკლებს ჯუჯი.  
ერიდება ჭუჭეს და ტალახს,  
და ფეხი აქვს მუდამ სუფთა,  
ვერ იხვენებს, მია ზეტრეს  
მხარზე თუ არ შეასკუნდა.  
გაფქვილული მია ზეტრე  
ცოშს ქათმისთვის ვიდრე მოხელს,  
ჯუჯი ეკურკურება და  
კოცნის ეურის ბიბილოზე.  
ვამლის, მანდარინის ნაფეჭვენს  
ზეტრე ჯუჯის ზირში სტენის,  
თან არიგებს: მოგიხდება,  
დააულოე ხილის წვენი.  
შესმატებილდნენ და იციან  
ერთმანეთის ზნე და წესი;  
არ გვინახავს, არც ვკსმენია  
მეგობრობა უკეთესი.  
როცა ბანზე მოხეირნეს  
ესმის კიბის ჭრატა-ჭრუჭი,  
ნაბიჯზე ცნობს თავის ზატრონს,  
„ზეტრე მოდიხ“, ხვდება ჯუჯი.  
ფორიაქობს, იწუებს კაკანს,  
სინარულით ატეხს კრიახს;  
ეგებება გამოზრდილი;  
ზეტრეს კარი ხვდება ღია.  
დაიხრება, ხელს გადუსვამს,  
დასაქმებს: ჩემო ჯუჯი,  
შენს ვაზრდას და განარებას,

მომიტანე, გოსოვ, ფახუჩი.  
 იმ ფახუჩთან ერთად ჰეტრეს  
 შინაურულს აწვდის სამოსს, —  
 მარჩენალს და მოამავეს  
 აღარ იცის, რით აამოს.  
 ჰეტრეს აქებს ფეხმარდ ფროსნანს:  
 მისხარია, არ ხარ ზანტი,  
 კარადაზე რომ დევს, აგერ,  
 მომაწოდე ეკ ასანთი.  
 ათას რამეს ავალედა,  
 მიახვია ასე ტანტალს,  
 ეტეოდა და, წვრილ ნისკარტით  
 ჯუჯი რას არ მიუტანდა.  
 წვრთნიდა შვეირდს სათოთობით  
 და ნომერი ნომერს ცვლიდა,  
 დღე დღეს მიჰევა, გაიზარდა  
 ჩვენი ჯუჯი ერთი ციდა.  
 სკამზე შეფრინდებოდა და  
 იგრძელებდა კისერს ტიტველს;  
 დაკურას ფორტეპიანოზე  
 ახერხებდა ნისკარტითვე.  
 მხარზე ასხმულ რგოლებს ისვრის,  
 აითვისა უკვე სერსო;  
 არ აკლდება ტებილეული  
 და სიტყვები სააღერსო.  
 რა თვალი აქვს, ვენაცვალე!  
 „უოჩად, ჯუჯი! აი, ასე!“ —  
 თითო მონზასს უდებს ჰეტრე  
 თითო რგოლის ჩამოცმასე.  
 — არ ვარ მე სხვა ქათმებივით  
 დანაკლავი, განარუჯი... —  
 თითქოს ამის თქმა უნდაო,  
 თავს ამაუად იწევს ჯუჯი.  
 ვეჭვობ, მისებრ გონიერი  
 სხვა ფრინველი ხადმე თუა,  
 მნელად, ჯუჯის შესედო და  
 არ იწამო ქათმის ჭკუა.  
 ერთხელ ჰეტრემ თქვა: მივდივარ

მივლინებით, ორი დღითო  
 და შესობელს გადასძახა:  
 ჯუჯის მიმიხედე, დიტო!  
 დაჯდა ჯუჯი თუთის ძირას,  
 არ უვლია კარდაკარა,  
 რასაც დიტო უშიდავდა,  
 ნისკარტი არ დააკარა.  
 ვიკვიშებდა დიტოს ცოლი;  
 კეთილი და სათნო კესო:  
 რა ზასუნი გავცე ჰეტრეს,  
 ეკ საბრალო არ მოკვდესო.  
 ჩვენი გამხალისებელი  
 დარდისაგან იქცა ლანდად;



მხატვარი  
ლალი ლომთაძე

# ბიჭი, და რობოტი როველის როკინას ჩამოკვამდა



## პარლო ტანატაძე

სკოლიდან მობრუნებულ ბიჭს რობოტი, რომელიც ჩოკინას ჩამოჰგავდა, შინ არ დასვენა; სათამაშო ეკლენმაღალში ჩაჯდა და მის სამებნელად გზას გაუღდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, პროხის ეხოს მიაღვა. როგორც კი გაიგო, რობოტი დაკარგულაო, მინდორზე წამოწოლილი ბოხლა ფეხზე წამოხტა, რობოტი ჩემი მეგობარისაა, ერთად მოვუბნოთო! — ღობეს გადმოველო და ეკლენმაღალში ჩახტა. — რძე მანც წაიღე საჯულადო, — გამოედევნა პროხა ბღავილით. ბიჭმა პროხას საწოვარწამოცმული ბოთლი ჩამოართვა და საბარგულში ჩადო.

ტეეს რომ მიუახლოვდნენ, ბიჭმა ტელევიზორი ჩართო... ეკრანზე გამოჩნდა ვეებურთელა ორთავიანი ვეელემანი, რომელსაც კრმელი კედით რობოტი და ეურეზარტეუნა ჰუავა დატეევებული; სწორედ ამ დროს კელით წინ გამოიგლო რობოტი და უბრძანა, ჩემს რაეეტებთან დადექი,



ირგვლივ სხვები ირეოდნენ, ჰატრონი კი არსად ჩანდა.

მოვლილ-დასუთავებულნი ჰეტრეს ეხო ჰგავდა ედემს...

გვაუიქრებდა ჯუჯის ბედი, ხელის ხლება ვერ გავბედეთ.

მოიკუნტა და უძრავად იყო, თვალსაც არ ასეხლდა.

უთქვით, რა ჭირი დაეძგერა, რა ემძაკი ან რა ელდა.

არ მიიღო არავისგან არც საკენკი და არც სითხე,

ვაებაში, წვალებაში გავატარეთ ის ორი დღე.

მესამე დღეს ალაუაფთან მია ჰეტრეს ხმა მოისმა...

ვერ გამოთქვამს კაცის ენა, — გამოჩენამ რა ქნა მისმა.

ჯუჯი შეკდარი რომ გვეგონა (საოცრება მოხდა წმინდა),

წამოხტა და მია ჰეტრეს ზედ კისერზე შეაფრინდა.

იჭუბუჭებს და ალერსით გული მართლაც ძლივს იჯერეს;

გაიხარეს, განუურელად ერთად იუჯნენ იმ დღის მერე.

ღამდებოდა. თენღებოდა. ისევ დარი ცვლიდა აუდარს.

ხადაც უნდა წასულიყო, ჰეტრეს ჯუჯი თან დაჰგავდა.

სასრიანს და მოხერხებულს არ სჭიროდა დიდი ჯაფა;

ათასნაირ ილეთებში კიდევ უფრო გაიწაფა.

შევეჩვიეთ, აღარ გვიკვირს, — კვერცხებს რომ დებს ხოლმე უფრადს;

შორს არ არის „კუს აღმართი“, ნახეთ, ვისაც არა გჯერათ.



ცხოველები და ფრინველები მომინადირო; შენ კიო, — მიუბრუნდა ბუბუუეით ეურუმბარტუნას, — დასოცილი ნახადირევი აქ მოპირბენინე, რომ გემრიელად გადაესანსლოო.

— გველუმანს ჩაუგდია ხელში რობოტი, უნდა ვიჩქროთ, თორემ რაექტებით ცოლოს დატრიოლებსო! — შემფოთდა ბიჭი, ეველგანძევალი დამრა და შსუილით და გრუსუნით მიუხანდოვდნენ გველუმანის საბრძანებელს. ბოჩოლა მანქანიდან გადასტა, — შე გველუმანს დავენახუბი, ის სომ გუმაძღარია, გამოძეკიღება, შენ კი ამასობაში რობოტი დაისხენიო!

მართლაც, როგორც კი გველუმანმა ბოჩოლა დაინახა, ტუჩები გაიღოკა და გამოუდგა. ამასობაში ბიჭმა იმარჯვა, მიუგლო ეველგანძევალი ეურუმბარტუნასთან, კათათვისუფალი და გველუმანს გამთადევენა; თვითონ კი რობოტთან მიირობინა და შესძახა: — ჩემო ჩოკინა! ბოჩოლა განსადგელშია. მიდი, რაექტები გველუმანს დაუმიხენო!

რობოტმა იცნო ბიჭის სმა, თვალისდახამხამებში გაამხადა რაექტები, გამოითვალა ფრენის ტრაექტორია და გასაშუებ დილაკს თითი დააჭირა. ის იყო რაექტები სტვენა-შსუილით გაფრინდნენ,

რომ ეურუმბარტუნა გველუმანს კუდში სწვდა. ამასობაში რაექტებმაც უწიეს გველუმანს, ერთი კრთთაში მოხვდა, მეორე — მეორეში. გველუმანი სტვენაგრილით დაიხურა და მიწაზე მომწვარული დაჯარდა. ბიჭი, რობოტი და ბოჩოლა განსარგებლები გადაესვივნენ ერთმანეთს. მაგრამ სისარული ნადრევი გამოდგა, ეურუმბარტუნა ცუდად გრმობდა თავს, გული ეროდა და თავბრუ ეხვეოდა. — ალბათ გველუმანის შხამით მოიწამლო! — თქვა საგონებელში ჩავარდნილმა ბიჭმა.

ვიდრე გულანუეებუელი ბოჩოლა სლუქუნებდა და სცოდნე ეურუმბარტუნას ევერეოდა, რობოტმა გველუმანის სხეულის სინჯი აიღო, მერე მისი შხამის შემადგენლობა შეამოწმა და დაადგინა: — გველუმანი ნამდვილი არ ეოფილა, სინოტიკური მასლისგან არის დამზადებულიო!

— სინოტიკურიო?! — გაუკვირდა ბოჩოლას და ცერისსიმსხო ცრემლი მოიწმინდა.

— არ გინახავს ჰაერით გაბერილი დათვი ან სხილოო?! — აუსნნა რობოტმა. — ეს გველუმანიც ჰაერით იყო გაბერილიო. ეურუმბარტუნას კი გველუმანის ზისლით მოსდის გულის ზიდვა, როგორც კი თბილ რმეს დაღვეს, მამინე გუუელისო! — რმე სომ გუუექსო! — შესძახა ბოჩოლამ, ეველგანძევალის საბარგულიდან საწოვარწამოცმული ბოთლი ამოიღო და ეურუმბარტუნას მიურბენინა. როგორც კი დალია ეურუმბარტუნამ რმე, გუნებაზე მოვიდა, დრუნჩი კაილოკა და ფენზედ წამოადგა. ამასობაში ბიჭმა ეველგანძევალი აამუშავა, გვერდით მოისვა თავისი რობოტი, რომელიც ჩოკინას ჩამოგვავდა, ეურუმბარტუნაც და ბოჩოლაც.

ჩვენ გველუმანი რას მოგვერევა,

ვართ მეკობრები, მძეუბი და დები!

— წამოიწეო სიმღერა რობოტმა. ბიჭმა სმა მისცა:

ერთად ვართ მუდამ, როდესაც კვიჭირს!  
ერთად ვართ მუდამ, როდესაც კვილხინს!  
— ამ, ამ, ამო! — ამოიღვა სმა ეურუმბარტუნამაც.

ეველგანძევალი მიჭროდა და მეკობრები თანდათან სოფელს უახლოვდებოდნენ.

# კოკონა და თუთიყუი

ნანა ღვინძვაძე

თუთიყუი ბუჩქებზე,  
 იცინე და იცინეო,  
 მერე ღრუბლებს ეხუქუება,  
 იწვიძე და იწვიძეო.  
 შეუყვრება, — შენ რაც გიყვარს,  
 ვიცო მუ და ვიცო მეო,  
 ძილი როცა მოგწრება,  
 იძინე და იძინეო.  
 იცნევა და ითამაშა, —  
 ეყვალაყურო ვიცო მეო;  
 მერე მართლა დავიდალე,  
 ვიძინე და ვიძინეო.  
 გაბაღვიძა, — რაც უსხიხმრა,

იხის კარვად ვიცო მეო;  
 ანეპქდა და ათამაშდა,  
 ქიცო შენ და ქიცო მეო.  
 ცნაქამაშს შეუძახა,  
 იწვიძე და იწვიძეო,  
 თორემ გოგო გამეჩნევა,  
 ვიცო მე და ვიცო მეო.  
 თუთიყუი გამეიყვდა,  
 იცინე და იცინეო!..  
 შენ რაც მოგწონს, რაც გახარებს,  
 ვიცო მე და ვიცო მეო...  
 წარმოგვიხატე ვამიძარო, —  
 გულისხმად ვიცინეო...

## ნელან ხად იყავ, ჩიტო?

ზონა აკოზიანი-ქაჩაძისი

— წიქლან ხად იყავ, ჩიტო?  
 — ღრუბლების გვერდით გახლდით,  
 ამ ხეობებს და ჭალებს  
 გადმოუყურებდი მადლით!

რა მოგეწონა უფრო,  
 ესეც გვითხარი ბარემ!

— ხეში ზატარა ბუდე,  
 ხეში მშობელი მხარე!





## პიჭი შენისთანა უნდა!

ძიშვარდ ისააკაძე



ბედურა ვარ. როცა თბილა,  
მარჯვდ ვიჭერ ჭილღუს,  
წამთარში კი, თუ ვიძოვი,  
არც ხმელ ჰურსე ვამბობ უარს.  
გაისარე! შენ გლოცავ და  
შენ გივალბობ, ჩემო კელა,  
ამ ქარსა და სიცოცხლეში  
სასრდო რომ მაქვს თავსაურელად!  
წოგი ისე ცივკულაა,  
თავს ქვითა და გუნდით მესხმის...  
ბიჭი შენისთანა უნდა,  
ბიჭი შენისთანა მესმის!


## გაჭიას სიშვარდი

ზაალ შანთიაძე




კურდღელი თავის ზატარებს  
არიკებს დედურ სინაზით:  
— გუშინ დათვის ხმა მომესმა,  
სიწუნარე იყოს ბინაში,  
ხომ იცით, რა ოხერია,  
და რა თათების ზატრონი,  
ქვეუნად ვერავინ მოაჩვენს  
იმ დაწვეკვლილის დატორილს.

სუკველა მიმმა მოიცვა,  
დარდი ჩაუდგათ ვულეშში.  
უცემ ბოლოდან მოისმა  
ერთი ბაჭიის ნუგეში.  
ხელში სტაფილო ვაგვა  
როგორც მეცხვარეს კომბალი,  
— ის დრუნჩიანი, დედიკო,  
წუსელ სისმარში მოკვალა.



# ՅՈՒՍԿ ԵՎ ԵՅԱՆՆԻ




ՅԵՐԵՎԱՆ - ՇԻՆ ԸՆԺԱՆՉԻԿ

ՊԱՅՏԻՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆԻ ԿՈՏԱՆՈՒՅՑՈՒՄ 457-502 Գ.  
(1500 ԵՐՈՆ ԵՂԵՎՈՒ)

ՉԻՉՈՒՄ: ՉԻՉՈՒՄ ԵՎ ԿՆՆՈՒՄ  
ՄԵՆ ԵՅԱՆՆԻ ԲԱՍՅՈՒՅՈՒՄ



ԲՆԵՆԻՉՉԸՆԸ...



ՉԻՉՈՒՄ, ԿՐԵՄ ԵՔՈՒՆ ԵՂՈՒՄ ԵՂՈՒՄ ԵՅԱՆՆԻ ԵՄԵՆ



ԿՆՆՈՒՄ



ՉԻՉՈՒՄ, ԿՐԵՄ ԵՔՈՒՆ ԵՂՈՒՄ ԵՂՈՒՄ ԵՅԱՆՆԻ ԵՄԵՆ



გოჭოლდონი ჩვენი გოგო! ვუბნებოდა  
მსხვილხანს ხეობიდან და ხანხის კეთილ-  
დღეობაზე ფიქრობს.

ანდის ჩაღანს  
განუგონებენ ..



საოცარი ძალიან ვახსოვნი, თავზე ვხანკე,  
სახამლოში გოჭოლდონი ცხენი მხივებდა რომ  
გოგოებო და გოგონებიან ვაგონ-  
ცოხნაველ გუბნებებში  
დავინა...



განსვალ იქნის ხელით იჭრის...



გონავთ გსხვობიან  
ხაზოთგომოცხივებებენ!



ჩინებური აგებონი, გოგონა! ან მანაკს  
გოგონადად ეიოი სხაგვარიც და გოგონადა-  
დი გეიგვებოცხი ვხვებია!



დავ აგვებენ თხილინ-ქანდაკი  
და გოგონებიან საგოგონო ცხენის  
ან განგოგონებში გოგონადად!



ანი განგოგონი, გვანებენ, რომელიც ცხენი განგოგონებში  
ხანხებ გოგონა ვახანხებ  
გოგონადადა?

„გონებნი გოგონი გოგონადად,  
ცოხნი გოგონადად იჭრის,  
ნახებოცხი ვახი გოგონა,  
დღეის გოგონადად იჭრის.“

# ინგლისური ხალხური ლექსები

## შეჯიბრება პალითაში

ყურთბალიშის შალითაში —  
აქედან და იქიდან  
სირბილს მოჰყვება ორი ძმა:  
მსუქანი და ჩხიკინა.  
ფეხი გადაუბრუნდა  
მსუქან ძმას და იკვივლა,  
ჩხიკინა ძმამ მსუქანის  
ზურგზე წამოიკიდა.



## ძილის ღრმ

— უკვე დაღამდა, დავწყვები, —  
ძმებს გადახედა მძინარამ.  
— ეჰ, — ზოზინამ თქვა, — რას  
მთელი ღამე ხომ წინა მაქვს!  
ღორმუცელამ თქვა: ირკვევა,  
ვინ მშვიდრია, ვინ — არა!



## პრისელ


ერთხელ მე და ჩემს დას  
მოგვივიდა დავა:  
მე თუ ჩაი მიყვარს,  
იმას უყვარს ყავა.  
ისე წავიკიდეთ,  
დედა გახდა ავად —  
დედას ქვეყანაზე  
მხოლოდ ორნი ვყავართ.



მხატვარი ბანო სილაშელი

# პატარა ჩვენო

ვერც ძმობილს და ვერც დობილს  
ვერც ვპოულობ, მარტო ვარ,  
პოდა, მარტო ვერთობი,  
ისე მივვარს ვართობა.



## ნები ძროხა

ძროხა მყავს ფერად მრეში,  
რძე მოსდის როგორც თქვეში,  
ვაცმევ დიბას და ატლასს,  
ვაჭმევ პუდინგს და ნამცხვარს  
და ცხრაჯერ ვწველი დღეში.

## გაგლის სეზა

ვაშლს რომ ტოტზე ვხვდავ,  
ავად ვხდები, დედავ,  
გულ-მუცელი მეწვის,  
რა მიშველის, ნეტავ?



## განსეზობილი კუ

კუს აუვარდა სიცილი,  
ნა-ნა-ნა, ნა-ნა, ნა-ნა-ნა! —  
თავკომბალაო ჩემს თვალწინ  
უცებ ვადიქცა ბავყადა!

ინგლისურად თარგმნა ვიორგი ნიშნიანიძემ.



# გუგული

გიორგი ავალიანი

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

ადრეული გაზაფხული იდგა. ტყის ფრინველები დიდ გარჯაში იყვნენ — ბუდეებს იკეთებდნენ. მარტო გუგული იჭდა უქმად, თელიდანვე „გუგუს“ გაიძახოდა და ერთ ხეზე რომ გულს იჭერებდა სიმღერით, შორს გადაფრინდებოდა და ტყის მეორე კიდიდან გაეხმიანებოდა იქაურობას.

იმ დღესაც მაღალი მუხის ტოტზე მოკალათებული მღეროდა და უზრუნველად გასცქეროდა ტყეს. უეცრად მეზობლად მდგომ ნეკერჩხალზე შაშვის ბუდე დაინახა. შაშვი ბუდეში იჭდა, თავი ძირს დაეხარა, ნისკარტი ფრთის ქვეშ მიემალა და გაყურებულიყო. მხოლოდ ახლა მოაგონდა გუგულს, რომ ჭერაც არ ეზრუნა საკუთარი ბუდის გასაკეთებლად, თან იგრძნო, რომ კვერცხის დადების დრო დაუდგა. ამასობაში შაშვი ბუდიდან ამოფრინდა და გაფოთლილი რცხილების იქით, ტყეში მიიძალა. გუგულმა მის ბუდეს დახედა, შიგ სამი მოლურჯო კვერცხი შენიშნა და ასეთი აზრი მოუვიდა: „მოდი, ჭერ შაშვის ბუდეში დავდებ კვერცხს, ბუდის კეთებას კი შემდეგ შევუდგებო.“ ირგვლივ მიმოავლო თვალი და როცა დარწმუნ-

და, არავინ უყურებდა, ფრთები გაშალა და ნეკერჩხლის შტოზე შეკოწიწებული ბუდისაკენ დაეშვა. ჩასაჯდომად ეპატარავა, მაგრამ ამან განზრახვა ვერ შეაცვლევინა. ფრთხილად ჩაჯდა ჭერ ისევ თბილ ბუდეში და გაყურდა. კვერცხი რომ დადო და ისევ მუხის კენწეროზე აბრუნდა, ერთხანს „გუგუ, გუგუ“ იძახა, შემდეგ კი იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ სად მოეწყო ბუდე. უცებ მისდაუნებურად ასეთი აზრი მოეძალა: „ისულაც რაღად მინდა ბუდე? ერთი კვერცხი უკვე ჩავდებ შაშვის ბუდეში, იმას იქიდან ხომ ვერ წამოვიღებ. ახლა ერთი კვერცხი-ღა მაქვს დასადები. მოდი, იმაც რომელიმე ფრინველს შევატყუებ. ბარემ გამოჩეკონ და გამიზარდონ კიდეც. განა ცოტა ჭაფა სჭირია ბარტყების გამოკვებას? სადა მაქვს მე ამისი თავი!“ თავისი გადაწყვეტილებით კმაყოფილმა გუგულმა აქეთ-იქით ცქერა დაიწყო და მალე ერთი თავწამახული წიფლის შტოზე ქედნის ბუდე შენიშნა. მთელი დღე უღარაჯა გუგულმა ქედანს და როცა ფრინველი ბუდიდან გადმოფრინდა და ტყეში გაუჩინარდა, მყისვე წიფელს მიაშურა. ქედნის ბუდე მისთვის დიდც კი იყო, შიგ თავისუფლად

მოკალათდა, მშვიდად დადო კვერცხი და, შემდეგ, ვალმოხდილის იერით, ამაყად თავაღერილი გაფრინდა ტყის სიღრმისაკენ.

მთელი ზაფხული უთვალთვალებდა გუგული ხან შაშვს, ხან ქედანს და ხედავდა, თუ რა ჭაფა ადგათ ბარტყებისათვის საკვების ძებნასა თუ ზიდვაზე. იმასაც ხვდებოდა, რომ ბარტყებს შორის ყველაზე გაუმადლარი სწორედ მისი შვილები იყვნენ და უხაროდა, რომ ასცდა მათი გამოკვება. ამდენ ჭაფას რა გაუძლებდაო, ფიქრობდა თავისთვის.


დადგა შემოდგომა. ტყემ მწვანე ფერი შეიცვალა, მალე ფოთოლცვენაც დაიწყო. ფრინველთა ბარტყები დიდი ხანია, დაფრთიანდნენ, ბუდეები მიატოვეს და ახლა მშობლებთან ერთად თბილი ქვეყნებისაკენ გადასაფრინდა ემზადებოდნენ.

გადაფრინის წინა დღეს იმ ტყის ფრინველებმა დიდი ზეიმი გამართეს. გუგულიც მივიდა ზეიმზე, მაგრამ თუ სხვა ჩიტები მთელი ოჯახებით შეიკრიბნენ, მას არავინ ახლდა. იჭდა მარტოკა, კინწმონუყვეტილი, ვერხვის მიმხმარ თავზე, და მოზეიმებთან ახლოს მისვლას ვერ ბედავ-


და. შაშვისა და ქედნის ოჯახებში გუგული-მა ადვილად იცნო თავისი შვილები. იმათ დანახვაზე გულმა ვერ მოუთმინა, ჩაფრინდა ვერხვის წვერიდან და ჭერ ერთს მიულერსა, მერე მეორეს, მაგრამ შვილებმა ზედაც არ შეხედეს; ერთი შაშვს ეალერსებოდა, მეორე კი — ქედანს.

დაღონდა გუგული. ახლა-ლა მიხვდა, თუ როგორ მოტყუვდა; შვილებმა, რომლებზეც მას ამაგი არ მიუძლოდა, ვერც კი იცნეს დედა. შეძრწუნებული გაეცალა გუგული მოზეიმე ფრინველებს და შორს, ტყის სხვა მხარეს გადაფრინდა.

ერთხანს გუგული მწარედ ნანობდა თავის საქციელს, მაგრამ მალე ყველაფერი დაივიწყა და მომდევნო წელსაც იგივე გაიმეორა. შემდგომში მას სხვა გუგულებმაც მიბაძეს — მათაც შეწყვიტეს საკუთარი ბუდეების კეთება და თავის ბარტყებს მოტყუებით სხვა ფრინველებს აზრდევინებდნენ. სამაგიეროდ გუგულები მუდამ მარტო არიან, უნათესაოდ და უმეგობროდ, და თავის მწარე ხვედრს ქვეყნიერებას შესჩივიან ნაღვლიანი მოძახილით — „გუგუ, გუგუ, გუგუ“.





6. გულაღმა დაწევი. გამართული ფეხებით „კიბე აიარე“. რომელ სართულზე ხარ? ახლა უკან ჩამოდი.



7. ისევ დაწევი, ცალი ფეხი ასწიე და ორივე ხელი ისევ ჩასქიდე შენს ბარძაყს, როგორც მაიმუნი ებლაუტება ხის ტანს, როცა ზედ მიცოცავს; მერე, ვითომ ხეზე აღიხარ, ხელები თანდათან მაღლა აიტანე, ხან ერთი, ხან მეორე, ვიდრე კოჭებამდე არ მიადწევი; ტანიც ნელ-ნელა წამოსწიე. დროდადრო დაისვენე. ახლა მარცხენა ფეხი იყოს „ხე“. ისწავლე ხეზე აცოცება, პატარა მაიმუნი?

8. დაჭევი. ხელებს დაეყრდენი, მუხლები მოხარე და გულ-მკერდს მიუახლოვე. ახლა, თითქოს ჰაერში ბურთს ხედავდე, ჯერ მარჯვენა ფეხი გაჰკარი მას, მერე — მარცხენა; მერე კი ორივე ღონივრად ხეტე. ესეც შენი საჰაერო ფეხბურთი!



9. გულაღმა დაწევი. გამართული ხელები წინ გაიშვირე და ნელ-ნელა წამოიწიე; როცა წამოჭდები, ისევ ნელ-ნელა დაწევი. თუ ასე გაგიჭირდა, მაშინ ხელები კეფაზე დაიწეე და უცბად წამოჭევი. ხოლო თუ ესეც გაგიძნელდა, რაიმე ავეჯის ქვეშ შეუკავი ფეხები და ვინმეს სთხოვე ხელით დაიჭიროს. მაშინ კი უსათუოდ წამოჭდები. ოღონდ იცოდე, იდაყვებით იატაკს არ დაეყრდნო. აბა თუ შეძლებ? რამდენჯერ?





## ჩიტბატონა

პორის ქოქარაშვილი

მიევარს ჩიტბატონა! მისი მშვენიერი, ფერადი სამოსი, მკვირცხელი და უემშაკო ხასიათი და მზიარული სიმღერა. სილამაზის გამო მას ზოგჯერ დღესობისადაც ეძახიან.

განსაკუთრებით თვალწარმტაცია მამალი ჩიტბატონა. კონტა თავის წინა ნაწილი ხასხასა წითელი აქვს, კეფა — შავი, ფრთებიც — შავი, ოღონდ შუაში ყვეთელი ზოლით შემკული, ბოლო — თეთრქობაშემოვლებული.

ჩიტბატონა ბაღებსა და მინდვრებში ბუდობს. მაგრამ მისი სიცოცხლე დიდად არის დაკავშირებული ნარშავის ბარდებთან, ამიტომ მას მესამე სახელიც აქვს — ნარჩიტა.

გაზაფხულობით, ნარშავის ყვავილობის დროს, მისი სურნელოვანი იისფერი ბალიშები იზიდავენ ტკბილ ბაღაჯზე მონადირე მრავალ მწერს, რომლებსაც ჩიტბატონა უცერემონიოდ კენკავს. როდესაც ნარშავი გადაიყვავილებს, დედალი ჩიტბატონა მისგან რბილ, თეთრ ბუსუსებს აგროვებს და თავის მომავალ ბარტყებს ბუდეს ამოუფენს. ამ დროს მისი უდარდელი მეგობარი სადმე მახლობლად ზის და გალობს.

დაასრულებს დედალი ბუდის შენებას, თეთრ ბუსუსებზე ოთხ ან ხუთ იასამნისფერი წიწკლებით მოფენილ ცისფერ კვერცხს დადებს და თითქმის ორი კვირა გულმოდგინედ კრურობს.


მამა ჩიტი მხოლოდ მაშინ იგრძნობს სინდისს ქენჯნას, როდესაც ქვეყნას ხუთი პაწია ფუმფულა გუნდა მოველინება. იგი დავიწყებს თავის საგაზაფხულო სიმღერებს და დედალ ჩიტბატონასთან ერთად ისარივით გაიჭრება ნარშავისაკენ, რომ თავის პატარებს ჭიალუა და მწერები მოუტანოს. ისინიც ისე ფართოდ უღებენ პირს მშობლებს, თითქოს მილიანად უპირებენ გადაყლაპვას...

გაივლის ცოტა ხანი და ჩიტბატონას თავის ნახევრად დაფრთიანებულ ბარტყებთან ისევ ნარშავიდან მოაქვს წრუწუნას თვალებით მბრწყინავე შავი თესლები...

...ცივ ზამთარშიც კი, როდესაც მძიმედრო უდგება ყველა ფრინველს, მზიარული ეყვანივით წკრიალებენ ჩიტბატონები პაერში და ფერად გუნდებდა იფანტებიან დათოვლილი ნარშავის ტოტებში.



ბიჭ. მსხ. კ. მარჯოსი  
ხატ. საბ. რესპუბ.  
ჯიჯღიროთაძე.



**ბაკვეთილი მე-3**

**თვლების გამოქსოვა უკუღმით**

თვლების გამოქსოვა უკუღმით ორგვარად ხდება: 1. მარჯვენა ჩხირი შევუყაროთ გამოსაქსოვ თვალს ისე, რომ მარცხენა ჩხირი ქვემოთ დარჩეს. ძაფი გადავიტანოთ გამოსაქსოვი თვლის მარცხნივ. მარჯვენა ჩხირის წვერით ეს ძაფი თვალში გამოვატაროთ და გამოქსოვილი თვალი მარჯვენა ჩხირზე გადავიტანოთ. სურ. №1. 2. მარჯვენა ჩხირის წვერი შევუყაროთ გამოსაქსოვ თვალში ისე, რომ ძაფი მის ზემოთ და მარჯვნივ მოექცეს, მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობით ძაფს წამოვდლოთ და გამოსაქსოვ თვალში გამოვატაროთ, გამოსაქსოვი თვალი კი მეორე ჩხირზე გადავიტანოთ. მივიღებთ უკუღმა ნაქსოვს. სურ. №2.

**ლილი ზურაბაშვილი**




ქართული  
ბიბლიოთეკა

**გარკვე**

პირველ მარცვალს «ქოს» მაგიერ იმერული ხმარობს დღემდე, მეორე კი მიიღება რძიდან, ყველ-კარაქის შემდეგ. მესამეს ვწერთ «ანის» მერე, «განსა» და «დონს» თავს დაპყურებს, შეაერთე, და ჩააწყობ ქადა-ღავაშ-ნაზუქ-პურებს.

*«ახალი», 1890 წ. №11.*



ცირა ზოგაშვილი

**მისკრითობა**

მოიწიე ჩემკენ ახლო და მის სახელს გეტყვი ყურში, რომ გაგვიგოს, გამოგვცინებს ცხვირკაუჭა . . . . .

შავ ნაბადზეა აკრული, ხან მთელი და ხან ნაკლული; პასუხი დააჩქარეო, სახელად ჰქვია . . . . .

# ჭიქოე

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რმსპუბლიკური საბავშვო შუბნალი უმცროსკლასელებსთვის.

გამოცემის 1904 წელიდან. საქ. კვ ცკ-ის გამოცემულია.

შთავარი რედაქტორი  
**ნევერ ნიჟარაძე**

სარედაქციო კოლეგია: მუხარამ აბოქაძე, მანანა აბოქაძე, ლეონიდა ბაგვა, სპონილ გოგიშვილი, მერი ლომიძე, შვიდი, სოლომონ დევიანიანი, ლეილა შრამა, ბელა ლომიანი, მამკალია გრემლიანი, ჯურნა ნაღორაძე, გიორგი როინიანი (სამხატვრო რედაქტორი) იმნატი ნაღორაძე (პ.მ.გ. მდიანი), გივი მნაძე, გივი მინაძე.

ტექნიკური რედაქტორი  
**ნევი ვერციკი**

შისამართი: რედაქციის, გამოცემის, სტამბის-თბილისი, ლენინის 14. ტელ: ში. რედაქციის 93-41-30, 93-98-15; პ.მ.გ. მდიანის 93-10-32, 93-98-18; საბ. რედაქციის-93-98-18; განყოფილების 93-98-19.


გადაეცა ასაქობად 14.10.88 წ., ხელმოწერილია დსაბ.გ.დ. 5.12.88 წ., ქალაქის ზომა 60x90", ფიხ. ნაბ. შურც. 2.5. ტირაჟი 168.000, შუკეოთა №2612

ელახე ნახატი  
**მუხარამ აბოქაძე**

«Дилла» («Утро») ежесемесный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им В. И. Ленина, для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии. Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).


Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14. Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 2612



მხატვარი **ნანა იოსელიანი**

ეს ბურთები, იარაღები, საგნები, სავარჯიშოები აუცილებელია სპორტის სხვადასხვა სახეობით გატაცებული ამბავშვებისათვის. აბათქვი, რომლისთვის რომელი?

6145/  
212



მხატვარი **სამარ სხვიტარიძე**

ნაშთ ბებონი პატა და თემო სოკოზე გააგზავნა. პატამ უთხრა თემოს:-ამ გზით წავიდეთ და მეტ სოკოს მოვკრეფთო.  
 თემომ უთხრა: - არა, იმ გზით რომ წავიდეთ, მეტი შეგვხვდებაო!  
 რომელი გზით უნდა წავიდნენ ბიჭები, რომ მეტი სოკო მოკრიფონ?